სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ცოტნე ბეჟაშვილის ანგარიში 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 15 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

2021 წლის ოქტომბერში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად თქვენ მიერ არჩეული ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს წევრად. საკრებულო თავისი უფლებამოსილების განხორციელებას 2021 წლის 3 დეკემბერს შეუდგა. ამ დღიდან, ჩემი როგორც საკრებულოს წევრის, საქმიანობა მოიცავს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიისა და იურიდიული კომისიის, ფრაქცია „ქართული ოცნების“ და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობას. ვარ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე. მონაწილეობას ვიღებ ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში, რაც საკრებულოს კომპეტენციას მიეკუთვნება.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 16 სხდომა, ვესწრებოდი 16-ს. აქტიურად ვიყავი ჩართული საკითხების განხილვაში. საკრებულოს სხდომებზე ჩემ მიერ მხარდაჭერილ იქნა, როგორც საკრებულოს სამუშაო გეგმით განსაზღვრული საკითხები, ასევე ყველა მნიშვნელოვანი პროექტი, რაც მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის ინტერესებს წარმოადგენს.

ჩემ მიერ მხარდაჭერილი იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი სიღნაღის მუნიციპალიტეტში 2024-2025 წლებში განსახორციელებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;
3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასაფინანსებელი სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;
4. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქ.სიღნაღსა და ქ.წნორში საგზაო მოძრაობის რეგულირების შესახებ;
5. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ;

6. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ;
7. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ერისიმედი, მაშნაარი, ვაქირი) ქუჩების არაბული ციფრების გამოყენებით სახელდების შესახებ;
8. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძირითადად, ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ;
9. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი 2024-2027 წლების განვითარების დოკუმენტისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
10. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ;
11. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 აპრილის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
12. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერისათვის სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან” ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით გრანტის მიღებაზე თანხმობის შესახებ.

ჩატარდა საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება“ 10 სხდომა, ვესწრებოდი 10-ს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვარ საკრებულოს ორი კომისიის წევრი. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე იურიდიული კომისიის - 7 სხდომაში, ხოლო ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის - 10 სხდომაში.

საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან. შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი მათ კონკრეტული პრობლემების მოგვარებაში. მაგალითად, მუდმივად ვახდენ მათი პრობლემებიდან პრიორიტეტული საკითხების წამოწევას წინა პლანზე, რაც ძირითადად ეხება ჯანდაცვის საკითხებს და ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტას.

საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით ქ.სიღნაღში ისარგებლა 180 მოქალაქემ და მათზე დაიხარჯა 49 145 ლარი. კერძოდ:

1. სამედიცინო დახმარება (49 ბენეფიციარი) – 22 420 ლარი;
2. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დახმარება (7 ბენეფიციარი) – 1700 ლარი;
3. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დახმარება (7 ბენეფიციარი) – 1250 ლარი;

4. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება (76 ბენეფიციარი) – 15000 ლარი;
5. მარჩენალდაკარგულისა და მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარება (2 ბენეფიციარი)- 400 ლარი;
6. სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება (3 ოჯახი) – 1075 ლარი;
7. შშმ პირთა სოციალური დახმარება (35 ბენეფიციარი) – 6850 ლარი;
8. ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება (1 ბენეფიციარი)-350 ლარი.

ქ. სიღნაღში 2024 წელს დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საერთო ღირებულება შეადგენს 5 807 506 ლარს. მათ შორის: მიმდინარე პროექტების ღირებულება შეადგენს - 2 132 335 ლარს, ხოლო დასრულებული - 3 675 171 ლარს.

ქ.სიღნაღში 2024 წლის ივნისში დასრულდა ქ.სიღნაღის ციხე-გალავანზე არსებული ტურისტული ბილიკის ბურჯების რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 49 996 ლარი. 2024 წლის ივლისში დასრულებული პროექტებია: 1.ქ.სიღნაღში ეკა ბეჟანიშვილის სახელობის ქუჩის ფერდსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები, ღირებულება - 40 900 ლარი; 2. ქ.სიღნაღში ერეკლე მეორის ქუჩის შესახვევში სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები, ღირებულება - 19 621 ლარი. 2024 წლის აგვისტოში დასრულდა ქ.სიღნაღში გარე განათების მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 43 306 ლარი. ქ.სიღნაღში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებია: ევდოშვილის II შესახვევის, კვერნაძის ქუჩის ბოლო მონაკვეთის, ერეკლე II-ის II ჩიხის, რუსთაველის ჩიხისა და „ორმილა“-ს წყაროსთან მისასვლელი გზების, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე არსებული N12, N14, N16, N18, N19, N21 და N23 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობის სამუშაოები, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 55 3083 ლარი. ქ.სიღნაღში მიმდინარეობს ასევე, ქეთევან წამებულის ქუჩაზე საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 95 970 ლარი, აბრამიშვილის ქუჩის ს/გზის რეაბილიტაცია - 1159165 ლარი, საჯარო სკოლისა და 112-ის შენობებს შორის სკვერისა და ტრენაჟორების მოწყობა, რომლის ღირებულება შეადგენს 32 4117 ლარს. 2023 წლის დეკემბერში დასრულდა ქ.სიღნაღში ფიროსმანის ქუჩის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 521348 ლარი. 2023 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ქ.სიღნაღში საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 3 000 000 ლარი.

როგორც საკრებულოს წევრი ვთანამშრომლობ მუნიციპალიტეტის მერთან, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან, მერის წარმომადგენელთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან, რაც მომავალში კვლავაც გაგრძელდება. გავაგრძელებ ასევე მოქალაქეებთან შეხვედრებს, მათი საჭიროებების გამოსავლენად შევიმუშავებ კონკრეტულ სამუშაო გეგმას. აქტიური იქნება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის საქმიანობა. ჩემი საქმიანობის მთავარი მიზანი სწორედ, თქვენი ნდობის გამართლებაა, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის წინსვლასა და წარმატებას ნიშნავს.

ცოტნე ბეჟაშვილი